

# ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე ალექსანდრე წულაძე დავიბადე 1984 წლის 07 ივნისს ქ. ბათუმში.

2001 წელს დავამთავრე თბილისის #58-ე საჯარო სკოლა და იმავე წელს სახელმწიფო გრანტით ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 2006 წელს წარმატებით დავასრულე. 2009/2010 წლებში ვსწავლობდი ქ. რომში “ლა საპიენცას” უნივერსიტეტის საერთაშორისო კომერციული სამართლის მაგისტრატურაზე. ხოლო, 2011 წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის დოქტორანტურაზე. 2016 წელს მომენიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, Summa Cum Laude შეფასებით.

2005/2006 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების პარალელურად ვიყავი სტაჟიორი საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტსა და იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების დეპარტამენტში. 2007/2009 წლებში ვმუშაობდი კერძო იურიდიულ კომპანიებში. ხოლო, სამაგისტრო პროგრამიდან დაბრუნების შემდეგ 2011/2012 წლებში კონკურსის გზით დავინიშნე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მრჩეველის თანამდებობაზე. 2012/2014 წლებში გავხდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ხოლო 2014/2015 წლებში იმავე დეპარტამენტის უფროსი. 2015/2017 წლებში ვმუშაობდი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე. 2017 წლიდან დღემდე ვარ იურიდიული კომპანია “CLL Law Firm”-ის მმართველი პარტნიორი.

ამავდროულად ვწევი აკადემიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის ღია უნივერსიტეტებში. ასევე, ვარ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს მოვიპოვე მაქს პლანკის საერთაშორისო კერძო და შედარებით სამართლის კვლევითი ცენტრის გრანტი და ნიუ იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის მოწვეული მკვლევარის სტატუსი. მომდევნო წელს გავხდი JAMS Foudation-ის პირველი ქართველი სტიპენდიანტი. ამასთან, გამოქვეყნებული მაქვს კომერციული სამართლის მიმართულებით ორი სახელმძღვანელო და რამდენიმე სტატია. და ბოლოს 2018 წლის თებერვლიდან ვარ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის თანათავმჯდომარე.

გარდა მშობლიური ქართული ენისა, ვფლობ ინგლისურ, რუსულ და იტალიურ ენებს.

ა. წულაძე 

31/05/2019